

# კორპორაციები და მათი პასუხისმგებლობა სისხლის სამართალში

*მინდაძე ომარი – ასოცირებული პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Enterprises and Their Liabilities in Criminal Law

*Mindadze Omari – Associate Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

The Doctrine of punishment of Enterprises originates in civil-legal theories of vicarious liabilities and principles of Identification. For example, the law of England, New Zealand, Israel, and Australia (till-1995) is obsessed with the theory of identification. According to this theory, corporations are criminally punished if the offense is committed by a corporation during its activity process. Accordingly, the action performed by the head of an enterprise of one of the legal entities may be the basis for criminal liability of the corporation.

Vicarious liabilities are an intermediate and subsidiary in nature and are possible only then, when it is prescribed by the law. It is not important for such liability to have the official status of the employee's post. It may be even an ordinary employee. This theory has contributed to the criminal liability of a legal person. According to the United States Justice, the Vicarious Liability is the general rule.

**Keywords:** vicarious liabilities, criminal law, enterprise.

### აბსტრაქტი

საწარმოთა დასჯადობის დოქტრინა თავის სათავეს იღებს მონაცვლეობითი პასუხისმგებლობისა (vicarious Liability) და ინდენტიფიკაციის (principle of identification ან alter-ego theory) სამოქალაქო-სამართლებრივ თეორიებში.

მაგალითად, ინგლისის, კანადის, ახალი ზელანდიის, ისრაელისა და (1995 წლამდე) ავსტრალიის სამართალი იცნობს იდენტიფიკაციის თეორიას. ამ თეორიის შესაბამისად, კორპორაციათა სისხლისამართლებრივი დასჯადობა ხდება იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩადენილია კორპორაციის ამა თუ იმ ორგანოს მიერ. ამის შესაბამისად იურიდიული პირის მხოლოდ ერთ-ერთი ორგანოს საწარმოს ხელმძღვანელი პირის მიერ შესრულებული ქმედება შეიძლება გახდეს კორპორაციის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

მონაცვლეობითი პასუხისმგებლობა არის შუალობითი და სუბსიდიარული ხასიათის და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა იგი კანონითაა დადგენილი. ასეთი პასუხისმგებლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს საწარმოს თანამშრომლის სამსახურებრივ მდგომარეობას (სტატუსს). შესაძლებელია საუბარი იყოს მხოლოდ უბრალო თანამშრომლებზეც კი. ამ თეორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის განვითარების საქმეში. ამერიკის შეერთებული შტატების მართლმსაჯულების მიხედვით კი, მონაცვლეობითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს ზოგადად წესს.

**საკვანძო სიტყვები:** მონაცვლეობითი პასუხისმგებლობა, სისხლის სამართალი, კორპორაცია, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა

კორპორაცია წარმოადგენს სამართლებრივი მოვალეობის ადრესატს და არის ქმედუნარიანი რაც დადასტურებულია სამოქალაქო სამართლის მოქმედი კანონმდებლობით.

კორპორაციის ორგანოთა მიერ გამოხატული ნება მიიჩნევა ამ საწარმოთა ნებად ასევე ითვლება, რომ კორპორაციებს შეუძლიათიმოქმედონ ბრალეულად, რადგან სისხლის სამართალში საქმე გვაქვს არა მორალურ, არამედ სოციალურ ნორმატიულ ბრალთან, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ ბრალს. კორპორაციის ბრალუნარიანობა არაპირდაპირ იმათ მიერაც არის აღიარებული, ვისაც უნდა რომ საწარმოთა პასუხისმგებლობა შეზღუდოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართავით, რადგან სამართლის ეს დარგიც ეფუძნება ბრალის პრინციპს, მიიჩნევა რომ კორპორაციის ბრალუნარიანობის თვალსაზრისში შესაბამისობაშია ასევე სოციალური ცხოვრების წეს-ჩვეულებებთან. მაგალითად, როცა ერთ-ერთი საწარმო ნავთობს ზღვაში ჩაღვრის და ამით ზღვის წყალს დააბინძურებს, საზოგადოება მის მესაკუთრეს, შესაბამისად ამ საწარმოს მიიჩნევს, როგორც კატასტროფისთვის პოტენციურად პასუხისმგებელს და მართლსაწინააღმდეგო ქცევის შემთხვევაში ხდება ამ პასუხისმგებლობის რეალიზაცია.

იურიდიულ ლიტერატურაში უარყოფილია ის თვალსაზრისი, რომ საწარმოს დასჯა იმავდროულად თითქოს აქციათა არაბრალეული მფლობელების დასჯას წარმოადგენს. საწარმო არის საკუთარი უფლებითა და მოვალეობით აღჭურვილი დამოუკიდებელი იურიდიული პირი. აქციონერები დგანან მის უკან. საწარმოს დასჯას შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეს აქციონერებზე, თუ მათი აქციათა ღირებულება დავარდება, მაგრამ ასეთი შედეგი წარმოადგენს ნორმალურ სამეურნეო-ეკონომიკურ რისკს, რომელიც აქციონერებმა თავის თავზე აიღეს. აქციათა ღირებულების შემცირება არ წარმოადგენს საწარმოს დასჯის მიზანს. მოვალეობითი შედეგები ქმედების არამონაწილე, მესამე პირისათვის დგება იმ შემთხვევაშიც, როცა დანაშაულის შედეგად მოხდება ისეთი პირის დასჯა, რომელიც თავისი ოჯახის ერთადერთ მარჩენალს წარმოადგენს. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ აქციონერებს საწარმოს გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ, მათ შეუძლიათ კანონთა შესრულების იძულება, სანდო ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა ან საწარმოს შიგნით ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც სპეციალურად უფლებამოსილია ხელი შეუშალოს დანაშაულთა ჩადენას. სწორედ ამიტომ მიიჩნევა სისხლისსამართლებრივი დასჯის მოვალეობითი ზეგავლენა აქციონერებზე ბრალის პრინციპთან შესაბამისად.

კორპორაციის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის უარყოფა ისედაც ვერ ააცილებს აქციონერებს მათთვის არასასურველ შედეგებს, რადგან იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის უარყოფის შემთხვევაში, მათთვის საზიანო ფინანსური სანქციები შეიძლება მაინც დადგეს. სამოქალაქო სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გზით.

დავის ორგანოთა ქმედებისათვის კორპორაციათა დასჯის თეორია ემსახურება ასევე ლეგიტიმურ მიზანს. პირველ რიგში იგი მდგომარეობს საწარმოს თანამშრომლებზე პრევენციულ ზემოქმედებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულთა ჩადენა. თავის მხრივ თანამშრომლები თვითონაც არიან დაინტერესებული იმით, რომ მათი საწარმო იმართებოდეს და ფუნქციონირებდეს დადგენილი წესების შესაბამისად, წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში, მათ სამუშაო ადგილებს შეიძლება საფრთხე შეექმნას. გარდა ამისა საწარმოთა სისხლისმართლებრივი დასჯადობა ხელს უწყობს სამართლებრივი წესრიგისადმი საზოგადოების ნდომის განმტკიცებას.

კორპორაციათა სისხლისმართლებრივი დასჯადობა ასევე ლეგიტიმურად მიიჩნევა იმ მიზნის მისაღწევად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოს შინაგანი წესრიგი. კორპორაციაში დანაშაულთა ჩადენას ხშირად იწვევს დანაშაულის ხელშემწყობი საწარმოს ატმოსფეროს ჩამოყალიბება. თანამშრომლები ხშირად ჩადიან დანაშაულებს თავიანთი კორპორაციის სასარგებლოდ, რათა მიიღონ წახალისება და დაწინაურება. ასეთი დანაშაულების არაპირდაპირი ხელშეწყობა იქნებოდა, თუ საწარმოს დაუსჯელი დარჩებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დანაშაულიდან მოგების საწარმო და არაპირდაპირ თანამშრომელიც მიიღებდა. ასევე, ითვლება, რომ კორპორაციათა დასჯას აქვს პოზიტიური, პრევენციული ეფექტი საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და რეზონანსის თვალსაზრისით.

სამეწარმეო-ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სისხლის სამართალი წარმოადგენს სათანადო-ეფექტურ საშუალებას. დამნაშავეობის პრევენცია არის სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანა.

კორპორაციათა სისხლისმართლებრივი დასჯადობის მომხრეები თვლიან, რომ მას შეუძლია, კორპორაციათა უშუალო დასჯის გზით ეს ამოცანა უკეთესად შეასრულოს ვიდრე სამოქალაქო სამართალს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქ. სისხლის სამართლის კოდექსი თბ. 2005
2. სისხლის სამართალი კ/ნ ტომი 1. თბ. 2005
3. ლ. ბრეგვაძე. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. თბ. 2009 წ.
4. ლ. ჭანტურია – შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართალში. თბ. 2000 წ.
5. ა. ნიკიფოროვი – იურიდიული პირი, როგორც დანაშაულის სუბიექტი და მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოსკოვი 2003 წ.
6. ო. მინდაძე – თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე. ქუთაისი 2010 წ.
7. ი. სურგულაძე – ხელისუფლება და სამართალი თბ. 2008 წ.
8. მ. ლეკვეიშვილი გ. მამულაშვილი. ეკონომიკური დანაშაული თბ. 2002 წ.